№ 155, ივლისს 20, შაბათი. 1866—1885 ივლისს 20, შაბათი. № 155

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელ გვერდზე [illegible] დი 25 მანათი; პირველი 50 მ. [illegible] ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ ხელნაწერი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შემოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

ივლისის პირველიდამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი

## ხოლერა და დოქტორი ფერანი

თბილისი, ივლისის 20-ს.

შარშაწინ ეგვიპტე, შარშან საფრანგეთი და იტალია და წრეულს ესპანია, - აი ის ქვეყნები, სადაც მძვინვარებს ხოლერა და საიდამაც შიშის ზარსა ჰფენს მთელს ევროპა. ამ გადამდებმა სენმა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს კუდი მოიქნია და ყოველ წელს განსაკუთრებით თითოს, ან ორს ქვეყანას ირჩევს თავის ულუფად, რომ სხვებსაც მოაგონოს: თქვენც გამიფთხილდით, თქვენი ჯერიც მალე მოვა და გულს არც თქვენ დაგაკლებთო.

ხოლერა ასე «მეცადინეობს», მაგრამ არც კაცობრიობა რჩება მის წინაშე გულ ხელ-დაკრეფილი და ცდილობს შეუთვისდეს სისუფთავეს, ამ დაუცხრომელს მტერს ხოლერისას. მაგრამ წმინდა ჰიგიენურ ღონის-ძიების გარდა, მეცნიერება სხვა ღონესაც ეძებს და წლევანდელმა წელი წადმა თუ ნამდვილად ვერ გამოიკვლია ეს ღონის-ძიება და უტყუარ წამლად ვერ გამოაცხადა, მიგნებით მაინც მიაგნო.

ჩვენ ვამბობთ დოქტორის ფერანისაგან გამოგონილს ხოლერის აცრაზედ.

ერთს დროს ყვავილი ხოლერაზედ თუ უმეტესად არა, ნაკლებად საშიში არ იყო. მაშინ ამ გადამდებ სენს წამალი არ ჰქონდა-რა და ყვავილით ავადმყოფს ყველანი ჭირიანსავით ერიდებოდენ. მაგრამ მეცნიერებამ გამოიგონა ყვავილის აცრა და აცრილებისათვის იგი შეიქმნა სრულიად უვნებელ სენად. დოქტორი ფერანი გვპირდება, რომ ხოლერასაც ეს დღე მოელისო. იგი გვპირდება, რომ როგორც ყვავილის ჩირქი სპობს ყვავილის შიშსა, ისე ხოლერის ჩირქი, ესე იგი ხოლერის მიკრობები, წყალში ძალზედ გახსნილნი, ღონეს აძლევენ კაცს ამ სენს წინ-აღუდგეს და ეპიდემია მშვიდობით გაატაროს. დოქტორმა ფერანმა ხალხის დასარწმუნებლად რომ ხოლერით აცრა არავისთვის საშიში არ არის და მარგებელი კია, იმისთანა საბუთი წამოაყენა, რა საბუთსაც ხმარობენ ხოლმე, როცა უნდათ სხვას დაარწმუნონ საჭმლის ან სასმლის მოუწამლელობა თითონ აიცრა ხოლერის ჩირქი და აუცრა იმისთანა პირებს, რომელთაც მისი გამოგონება სწამდათ და აცრის შემდეგ თავიანთ თავს სრულს უშიშრობაში ჰხადოდენ.

ესეთის დამტკიცების შემდეგ ხალხმა ათასობით დაიწყო აცრა და ფერანის მომხრენი ყველას არწმუნებენ, რომ აცრილებს ხოლერა აღარა ჰხვდებათო, თუმცა სხვანი ბევრნი ამის წინააღმდეგს აზრს ადგანან. რომელი მხარეა მართალი და რომელი მტყუანი,—ჯერ დაბეჯითებით არ ითქმის, რადგან ეხლა ესპანია იმისთანა მდგომარეობაშია, რომ სტატისტიკურ ცნობების მოსაგროვებლად და ერთის აზრის დასადგენად ვერავინ იცლის, მაგრამ ეს კია, რომ მთელმა განათლებულმა ევროპამ მიაქცია ყურადღება ფერანს და მისის აცრის წესის გამოსაკვლევად ყველა სახელმწიფოდგან ჰგზავნიან ნასწავლ ექიმებს და პროფესორებს.

მართალია ეს სწავლულები ყველანი კარგის თვალით ვერ უცქერიან ფერანის გამოგონებას, ზოგნი მას შარლატნობასაც სწამებენ, მაგრამ ეს ყველას თავს არის, ვისაც კი ახალი სიტყვა უთქვამს მეცნიერებაში, პოლიტიკაში, თუ სხვა რამ ცოდნაში. ამ განსაკუთრებული შემთხვევისათვის ისიცა კმარა, რომ «მამამ აცრისამ» საფრანგეთის გამოჩენილმა მეცნიერმა პასტერმა, ფერანის შრომა ნამდვილ მეცნიერულ შრომად იცნა და ღირსად სრულის ყურადღებისა, რადგან ამ შრომას შეუძლიან კაცობრიობა დაიხსნას იმისთანა სენისაგან, რომელსაც ჯერედ შორეული წამალიც ვერ გამოუძებნეს.

---

## შინაური ქრონიკა

† გუშინ, ივლისის 10 ს, გარდაიცვალა თბილისში თ. ივანე სოლომონის-ძე ციციშვილი, წინამძღოლი გორის მაზრის თავად-აზნაურობისა.

○○○ რას არ იტყვის და რას არ შეთხზავს ხალხის ოცნება, როდესაც მასზედ რომელიმე მოულოდნელი ამბავი მეტის-მეტად მოქმედობს! თბილისში ბევრნი ლაპარაკობენ, ვითომ საიდგანღაც გაეგოთ, რომ ჭიარიმა თბილისში მოსულა, აბანოში უბანია და იქ განსპეტაკებული კვალად გამგზავრებულა საყაჩაღოდაო...

○○○ ხუთშაბათს საღამოს თ. ივ. მუხრანბატონის სადგურში თავი მოიყარა იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს საქმე სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის შემოღებისა ჩვენში. კომისიამ გადასწყვიტა: იშუამდგომლოს ამ ბანკის განყოფილების დაარსებაზედ კავკასიაში. ამას გარდა ამავე კომისიაში მოლაპარაკება იყო პრიკაზის საქმეებზედ. ყველამ იცის, რომ პრიკაზის ნახევარი ვალი ეპატიათ ყველა თავად-აზნაურებს, თუმცა სახელმწიფო რჩევის აზრი ის იყო, რომ

---

## ქუთაისში

სიცხე გვაბოდებს.—Casus-ი ებრაელების უბანში.—კარტოშკა.—იმერელი თავადის ქველ-მოქმედება და ფრანციცკული მწვავარ-მეძებრები.

ბევრი რამ შეუძლია სიცხეს. შემეცნებულს აგაბოდებს: თავს დაგაჰერს, ტვინს აგიდუღებს, დაგსიცხავს ერთის სიტყვით და ისეთს რასმეს წამოგაროშვინებს, რომ არც ღვთისა იყოს და არც კაცისა. მოგელანდება ის, რაც არ არის ნამდვილად; მუდამ მოუსვენარი ხარ, გესიზმრება სიზრმადაც წარმოუდგენელი რამე... ბაბოდებს, ბოდავ.

დიალ გვაბოდებს და ვბოდავთ დღეს ქუთათურები. ორმა უეცარმა სიკვდილმა ისეთი ფიქრები აღგვიძრეს, რომ კინაღამ ერთიანად გავიფანტ-გამოვიფანტენით ქუთაისიდამ...

გუშინას-წინ ქალაქის ექიმს ნ. ი. ნაცვლიშვილს შეატყობინეს, რომ მდ. რიონის პირად ვიღაც კაცი გდია გულ შემოყრილი და დახედეთო. ქალაქის ექიმი მიდის, დახედავს ავადმყოფს, რომელიც იმ დღესვე კვდება, და შემდეგ, შინ რო დაბრუნდება, თვით ხდება რაღაც ცუდად. ღამის ათს საათზე ლოგინად ვარდება და თერთმეტზე სულსაც განუტევებს ჯერ კიდევ ახალ-გაზდა და მოცადინე ექიმი ნ. ი. ნაცვლიშვილი. ერთს საათში თავდება სრულებით სალი, ჯან-მრთელი, შეხედულებით მაინც—კაცი. ეს კმაროდა, რომ ათასი მითქმა-მოთქმა გამოეწვია. ყველა ეჭვით იხსენიებს რიონის პირად ნახულს ავად-მყოფს—პირიდამ და სტომაქიდამ საქმება აუვარდა და მოკვდაო. ქალაქის ექიმიც ამ გვარად მოკვდაო. ამ ორ მსხვერპლს ორი სამი კიდევ სხვა გააყოლა ხალხის ხმამ:—ბაზარში წაიქცენ და იქვე სული განუტევესო... ხოლე... გესმოდა ყოველის მხრით, მაგრამ შიშის გამო ვერვინ აბოლოვებდა ამ მართლაც რომ ზარ-დამცემ სიტყვას...

ყოველივე ამას სიცხეს ვაბრალებდი. ჰბოდვენ-მეთქი, ვამბობდი, და თავისუფლად მივეშურებოდი ბალისაკენ. ჯერ არ ვიყავ ბალის კარებთან მისული, როცა წინ შემეფეთა მუშა. ზურგს მოედვა მთელი ხორა კუბოებისა. ერთი გამაჟრჟოლა... ვალენსია, არანხუეცი, დონ-ალფონსი და კიდევ რაღაცები წავილუღლუღე და შევვარდი ბალში. ერიჰა! ბოდვა არც მე ამცდა-მეთქი. ყურებში თითები დავიცე და გავსწიე შუა-ბალისაკენ.—სული მცირედ მოვიბრუნე, როცა ჩამოვჯექ ერთს განმარტოვებულს სკამლოგინზე და თამბაქო გავაბოლე. მოვისვენე-მეთქი, ვფიქრობდი...

— Casus!—ჩამძახა ყურში ერთმა ჩემმა მეგობარმა.

— რა მოხდა?!

— განა არ დაგინახავს? ეს არის ეხლა ჩაატარეს ფაეტონით ერთი კაცი. .

ესეც ბოდავს-მეთქი გავიფიქრე...

— საბრალოს თავ-პირი სისხლითა ჰქონდა გათხუპნული.

აი, რა მომხდარიყო:

ერთს წყალის-მზიდავს ხვედრი ქირა მოეთხოვა ებრაელისათვის ებრაელს რაღაც მოემიზეზა, მაგრამ «მებოჩკე» ამ მიზეზებს არ იწყნარებს. შეუდგებათ ჩხუბი და «მებოჩკეს» თავპირ დასისხლიანებულს წაიყვანებენ საავადმყოფოში... როგორც ჰხედავთ სულ უბრალო საქმეა, უბრალო კინკლაობა... მაგრამ, ნუ გაიცინებთ, როდესაც გაიგებთ, როგორ გაზვიადდა ეს ამ ამბავი.

ეს მოვლენა რომ მოხდა—იმ ხანებში სულ ურიასი არ ყოფილა ქუთაისში..

პირველი კითხვა, რომელიც მისცეს დასისხლიანებულს «მებოჩკეს», გახლდათ შემდეგი:

— «ებრაელებმა შენი სისხლი წაიღეს, თუ არა?!. .»

იქნება ამ დროს ტისა-ესლარი

პატივება კატეგორიებისამებრ ყოფილიყო. ეხლა სურთ კვალად ითხოვონ, რომ სახელმწიფო რჩევის აზრი ასრულდეს და შეუძლებელ მოვალეთ პრიკაზისა უმეტესი შეღავათი მიეცესთ ნახევარის პატივებაზედ, რადგან პრიკაზის ანგარიშების არევ-დარევის გამო ეს ნახევარი ვალის პატივება ხშირად პატივებად არ ჩაითვლება.

⊖⊖⊖ ჩამოჩენილი მემუსიკე და კომპოზიტორი რუბინშტეინი სექტემბრისათვის ჩვენს ქვეყანაში მოსვლას აპირობს.

⊖⊖⊖ ჩვენი გაზეთის 150 №-ში დაბეჭდილი იყო, რომ ჯ—ძე ახლად დაარსებულის «ძმობის» თავმჯდომარის შეურაცხყოფის მიყენებისათვის სადღაც გაგზავნეს და დედამ არ იცის სად იმყოფება, რომ წერილიც არის მაინც მისწეროს ხოლმეო. ამ ამბის შესახებ გვწერენ რომ ჯ—ძე ივლისის 16-ს გაუგზავნიათ ეკატერინოგრადის დისციპლინალურ ბატალიონში და რადგან ფეხი ისე სტკივა თურმე რომ მორჩენა საეჭვოა ფეხით გაგზავნის მაგიერად, რკინის გზით და ტროიკით სიარული გადუწყვეტიათ.

⊖⊖⊖ ტფილისის საზოგადო ბიბლიოთეკის დირექცია აცხადებს, რომ დებულების თანხმად ბიბლიოთეკა დაიკეტება ივლისის 15-დამ აგვისტოს 15 მდის.

⊖⊖⊖ ამ დღეებში პეტერბურგში მიელიან რამდენსამე ახალ-გაზრდა იაპონიელს, რომელნიც ევროპაში სამეცნიერო განზრახვით მოგზაურობენ. ორი ამათგანი კავკასიაშიაც აპირობს თურმე მოსვლას.

⊖⊖⊖ ქუთაისიდამ გვწერენ, რომ კვირას, ივლისის 14-ს, ნაშუაღამევს იქ დიდი ცეცხლი გაჩენილა მიხაილოვის ქუჩაზედ და მიხაილოვის ქუჩიდამ ბაზრის ქუჩაზედაც გადასულა. დამწვარა რვა ორ-სართულიანი ქვის მაღაზიები. შენობანი დაზღვეულნი ყოფილან. დამწვარ დუქნებში დაწყობილი საქონელი კი არ ყოფილა დაზღვეული ერთის ვაჭრის საქონლის გარდა, რომელსაც სულ მცირე საქონელი დიდ ფასად ჰქონია დაზღვეული და ეჭვიც ამ ვაჭარზედა აქვთ აღებული.

⊖⊖⊖ შორაპნის მაზრის სოფ. წევიდამ გვწერენ, რომ იქ ამ თვის 12-ს დაწყებულა იარმუკობა, ბლომა ხალხი დასწრობია და ვაჭრობაც კარგი ყოფილა. მხოლოდ ბევრი ქურდობა მომხდარა; განსაკუთრებით უფრო ეკლესიაში, წირვის დროს, ბევრისათვის ამოუცლიათ ჯიბიდამ ფული.

⊖⊖⊖ ახალ ქალაქის მაზრიდამ გვწერენ, რომ ქრისტიანობის აღმადგინებელს საზოგადოებას სოფ. ძილღის სკოლა ტფილისის გუბერნიის დირექციისთვის გადაუცია, მაგრამ იმ სკოლის მასწავლებელს ბ-ნს ბ—ძეს კი სკოლის ბევრი ნივთები სადღაც წაუღია და არავის არ აბარებს. კარგი იქნება, რომ დირექციამ მოსთხოვოს ბ—ძეს სკოლის ნივთები და თუ არ აღმოაჩინა აზღვევინოსო.

⊖⊖⊖ გაზეთს „კავკაზს“ ატყობინებენ, რომ თბილისის ეპარქიის სასულიერო სასწავლებელში ამ წელს 24 სტიპენდია დანიშნულა საქართველოს ეგზარხოსად ყოფილის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის მოსკოვის მიტროპოლიტის იოანიკის შეწირული ფულით, რომლის სარგებლითაც აღიზრდებიან მოსწავლე ქალები.

⊖⊖⊖ ამას წინად თბილისში დაიჭირეს ვილაც გლახა აბაშვილი (იგივე ჩებიშვილი), რომლის მოქმედების აღწერაც კარგს რომანს შეადგენდა. რაჭველი ჩებიშვილი ამ რამდენიმე წლის წინად ქალაქში ქურდობდა. რამდენიმე ქურდობის შემდეგ იგი დაიჭირეს და შვიდმა პოლიციელმა მეორე განყოფილების გამომძიებელთან წაიყვანეს. კამერაში მას შვიდი კაცი გარშემო შემოერტყა. მაგრამ დრო იპოვა, გადახტა ფანჯრიდამ და გაიქცა. შემდეგ რვა თვის მოგზაურობისა კავკასიაში, ჩებიშვილი კვალად ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ ისევ მალე დაიჭირეს და პოლიციის მეხუთე ნაწილში მიიყვანეს: აქედამაც მალე გაიქცა იგი. ჩებიშვილი მალე ისევ დაიჭირეს და ციხეში გაგზავნეს, სადაც იმყოფებოდა ამ წლის თებერვლის 11-დე. ამ დღეს ჩებიშვილი სხვა ტუსაღებთან ერთად გამოიყვანეს გარედ სამუშაოდ, რის შედეგიც ის იყო, რომ იგი კვალად გაიქცა. დაიწყო მოგზაურობა კავკასიაში. როდესაც ქალაქში ჩამოვიდა, ქეიფს მიჰყო ხელი. პოლიციის მეხუთე ნაწილის პრისტავის თანაშემწემ სვიმონოვმა ამ თვის ცამეტს ჩებიშვილი კიდევ დაიჭირა და ციხეში გაგზავნა („კავკაზი“).

⊖⊖⊖ დაბა ოჩემჩირის მცხოვრებთ (ტუაპსე და ფოთის შუა) სთხოვეს რუსეთის საზოგადოების ნაოსნობის და ვაჭრობის დირექტორს, რომ მათს დაბა ოჩემჩირში საზოგადოების სააგენტო გახსნას. ამბობენ ეს თხოვნა შეწყნარებული იქნებაო. („კავკაზი“).

⊖⊖⊖ იმავე გაზეთს სწერენ, რომ კავკასიის რკინის გზის სტანციების ფონის და ბეჟათუბანის შორის, ივლისის 7-ს გზის ახლო უპოვნიათ მძიმედ დაჭრილი გზის ყარაული მიხეილ გელიშვილი. დაჭრილმა არ იცის თუ ვინ დასჭრა იგი და ან რა მიზეზით. სატოდავს თუმცა მაშინვე უწამლეს, მაგრამ მნელი მოსარჩენი კი არისო.

## «დროების» კორესპონდენცია

—

ს. ვეჯინი, ივლისის 13 ს. კელავინდებულს საამურს სურათს აღარ წარმოადგენს წრეულს ვეჯინი, კვლავ ამ დროს ისმოდა ხოლმე ამ სოფლის კალოებზედ მხიარული «ოროველა» და საღამოთი სამუშაოდგან მომავალი ხალხის სხვა და-სხვა ნაირი სიმღერა... მასთან ბუნებასაც სიცხოველე ეტყობოდა. სულ სხვაა ეხლა: ხანგრძლივს გვალვას ყველაზე დაუსვამს თავის ბეჭედი და მინდორშიაც ყველაფერს ყვითელი, მომწვარი ფერი აძევს. ეს ნიშნები ცხადად აჩვენებენ, რომ წრეულს ს. ვეჯინში, როგორც საზოგადოდ კახეთში და ქიზიყში, კარგი მოსავალი არ არის.

მართლადაც, ეს წელიწადი დარჩება იმ წელიწადთა რიცხვში, რომელნიც დიდს ვაებას და სიმწუხარეს მიაყენებენ ხოლმე მცხოვრებლებს და დიდ-ხანს არ აღმოიფხვრებიან ხალხის ხსოვნიდგან. ამ ზამთრის უთოვლობამ ხელი შეუწყო თაგვებს, რომელთაც დიდი ზიანი მიაყენეს დათესილს ყანებს. რაც თაგვებს გადარჩათ, ვერ გადაურჩა გაზაფხულზედ უწვიმობას და დიდს სიცხეს, რომელმაც სრულიად ამოსწვა ყანები, სადაც კი ცოტა მაინც მოიპოვებოდა. ზოგიერთმა თუ მომკო წრეულს ყანები, თორემ უმეტესმა ნაწილმა გასთიბა და ხელით გაგლიჯა; ესეც ბზის გულისათვის და არა იმისთვის, ვითომც რაიმე გამოსავალი ჰქონოდეს. რადგანაც შემოდგომის მოსავალმა ასე უსარგებლოდ ჩაიარა, ხალხს იმედი ჰქონდა, გაზაფხულის მოსავალი მაინც კარგი მოგვივა და არა გვიშავსრაო. მაგრამ, საუბედუროდ, არც გაზაფხულის მოსავალს დააყარა ხეირი დიდ ხნობის უწვიმობამ. სიმინდი უმეტეს ნაწილად ეხლავ გამჭკნარია სიცხისაგან, თუმცა ერთი არშინის სიმაღლეც არა აქვს; ჩალათაც აღარ გამოდგება. ეს კიდევ არაფერი; უბედურობა ის არის, რომ საქონლისათვის საჭმელი არ არის; არამც თუ ზამთრისათვის დარჩეთ რამე, ეხლაც ხეირიანად ვერა ძღებიან. ის მინდვრები, სადაც წინად ურიცხვი სათივეები იდგა, ეხლა მზისაგან გადამწვარან და მათზედ იმდენი ბალახი არ არის,

---

მოაგონდა და იმიტომ დაეკითხა ამ რიგად წყალის მზიდავს?!. სამწუხაროა რომ თან სასაცილოც არ იყოს ასეთი გაუჭრელ-გაუზომელი კითხვის მიცემა. ეს გარემოება, როგორც რიგი და წესი მოითხოვს, გააზვიადა ჭორმა და, სანამ დაჭეშმარიტებით არ გავიგებდით ყოველივეს, აქედამაც და იქიდამაც გესმოდათ, რომ ებრაელებმა 25-ის, თხუთმეტის, წლის კაცი აწვალესო...

როდესაც ქუთაისელ ებრაელებზე ლაპარაკობ,—არ შეგიძლიან გვერდი აუხვიო ებრაელების უბანს და ნაღვლიანად არ წარმოსთქვა:—რა მშვენიერი, ყოვლის მხრით მოხდენილი ადგილი უჭირავთ ამ ებრაელებს ჩვენს ქალაქშიო! ბარემ მცხოვრებმა, ვინც ჩვენის ქალაქის ვითარება არ იცის, იქნება შურის ძიებად ჩამოგვართვას ჩვენ ეს... ებრაელი-კი ადამიანი არ არისო; ალბად მეცადინეობა არ დაუკლია მას, რომ ასეთი ალაგი დაუჭერია ქუთაისშიო; რატომ ქრისტიანენი არ ეცადენით და არ დაიჭირეთ ადრევ ეს უბანიო. მაგრამ საქმე ეგ კი არ არის. ვინ ამბობს..· რაკი სახელმწიფოს შეუგუებია ეს ხალხი—მას სრული უფლება აქვს იცხოვროს, სადაც ნებავს. საქმე ის არის, როგორ სცხოვრობს ეს ხალხი! სიბინძურე, აუტანელი სიბინძურე მთელს უბანში. ქუთაისს სიფაქიზით არც ერთს უბანში არ შეუძლიან იამაყოს, მაგრამ რაც უნდა მივარდნილის უბნიდამ გადახვიდეთ ებრაელების უბანში—სულ სხვა სუნნელება, აუტანელი სუნნელება დაზხამავს თქვენს ყნოსვას... რა დროსაც გნებავთ ჩაიარეთ,—თვალ-წინ ერთი და იგივე სურათი წარმოგიდგებათ: ქუჩა და ამის კიდეებზე თხრილები სიმყრალით მოფენილია; რიონის ნაპირას ებრაელების დედაკაცები რეცხვენ ისეთ თეთრეულს, ან უკედ რო ვსთქვათ შავეულს, რომლის მარტო შეხედვა გულს აგირევს ადამიანს; მთელს უბანში, დიდი საქმეა, თუ ხუთ ექვსს ფეხის-ადგილს იპოვით. რით უნდა ეშველოს ამ გარემოებას? ებრაელების აყრა ამ უბნიდამ სწორედ რომ ძნელი საქმეა. ეს ახალი ამბავი არ არის: ებრაელების გადასახლებაზე ამ უბნიდამ ვორონცოვის დროსაც, იქნება ადრეც, ჰფიქრობდენ. როდესაც ვორონცოვი ჩამოსულიყო ქუთაისში და ებრაელების უბანი დაეთვალიერებინა,—ქალი, კაცი, ბავშვი ებრაელები ფეხქვეშ გაჰგებოდენ და ვედრიდენ თურმე, თუ ამ უბანს მოგვაშორეთ, სადმე სხვაგან, შორს გადაგვყარეთ, თორემ ქუთაისში სხვა ალაგას არ დავბინავდებით ჩვენაო. ვორონცოვის შემდეგ ხუთჯერ გაიზარდა მაინც ეს უბანი და დღეს ძნელი არის ამათ აყრაზე ლაპარაკი. დიაღ ხუთჯერ გაიზარდა და ხუთჯერაც იმატა სიბინძურემ.

დაბეჯითებით შემიძლიან ვსთქვა, რომ იმ მსწავლულს, რომელმაც აღმოაჩინა რუსის ქალალდის ფულზე მავნე «მიკროსკოპიული ორგანიზმნი», მიკრობები, საიდღანაც ქუთაისელი ებრაელის მანათიანი ჩავარდნია ხელთა. მსწავლული ამბობდა: სიბინძურისაგან იბუდებენ ქალალდისა და სხვა ფულზედაც მავნებელი, თვალ-მიუწვდენელი მწერები, რომელნიც სხვა-და სხვა გადამდებ ავად-მყოფობის გავრცელებას ძალიან უწყობენ ხელსაო. ებრაელის მანათიანები ავადმყოფობას არ ვიცი და ისრე-კი ძალიან უწყობენ ხელს ჩვენებურ თავად-აზნაურობას და თქვენი რისხვა მომცეს, თუ ამ უკანასკნელებმა დიდი, ძააალიან დიდი ტუტუცი არ დაარქვან იმ მსწავლულს.

ესეთს წვრიმან, თვალ-მიუწვდენელ ჭორს ბაიბურშიაც არ იგდებს ჩვენი ხალხი, მსხვილის ჭირისა ეშინიან მას და ეს მსხვილი ჭირიც მოედვა საქონელს ჯერ-ჯერობით ვაკეში. ქუთაისში ამ ჟამად იშვიათად შემოჰყავთ ხარ-კამეჩი. კაცის ჭირი ჯერ არ გაჩენილა, მაგრამ შეძლებულები «დაჩებად» გავიდენ მახლობელს სოფლებში.

ერთი გვარიანი მოზდილი სახლი გუშინასწინაც დაიწვა. დაზღვეულიც

რომ საქონელმა პირი მოჰკიდოს... ასეთივე მოუსავლობა არის კახეთის უმეტესს ნაწილში და უარესი-ქიზიყში. თუ რა დღე ადგა ამ უკანასკნელს, მკითხველი მიჰხვდება შემდეგის მაგალითიდგან, რომელიც შემთხვევით არ არის ჩვენგან აღებული: ქიზიყის ერთს სოფელში, სახელდობ ჯუგაანში, გლეხს Ც-შვილს ასი დღის ნახნავიდგან ერთი ურემი ძნა არ გამოუტანია...

უეჭველია, ეს ეთი გვალვა თავის ძალას გამოიჩენს, და რაიმე ავადმყოფობა გამოჩნდება; მაინც უმისოდაც არა ჰზოგავს იგი კახელებს. Ციებ-ცხელება ეხლავ არის გაჩენილი...

ბ.

## რუსეთი

ბოლოს დროს ისე გახშირდა რუსეთში ცეცხლი და იმოდენა ქონება ჰხდება ილის მსხვერპლი, რომ ყველა გაზეთებმა ამ საგანს მიაქციეს თავიანთ ყურადღება და ყველანი თავ-თავიანთ რჩევას იძლევიან. შესანიშნავია უფრო შეხედულობა გაზეთის «ნოვოსტი»სა, რომელიც საუკეთესოდ ჰხადის დაარსებას იმისთანა საქველ მოქმედო საზოგადოებისას, რომელსაც საგნად ჰქონდეს გადამწვართა დახმარება და ცეცხლ-შეუხებელ მასალის გავრცელება შენობებისათვის.

—

სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ მალე უნდა განიხილოს წესი ბაქოს ალების ნავთზედ და მისს ნაწარმოებებზედ.

—

მოსკოვის პროფესორებს განუზრახავთ «რუსეთის აღმოსავლეთის საზოგადოების» შედგენა აღმოსავლეთის გასაცნობად და პეტერბურგის პროფესორებიც მიუწვევიათ. წესდება ამ საზოგადოებისა მზად არის თურმე კიდეც.

—

ძლიერს სიცხეებს რუსეთში, რასაკვირველია, თან მოჰყოლია დიდძალი წყალის აორთქლება და ამიტომ მარილის წარმოება გაადვილებულა. ამ მიზეზით მარილის ფასმა ძალიან უნდა დაიწიოს.

—

ინგლისელებმა დაიპყრეს კველპორტის კუნძულზედ, კორეის ახლო, ჰამილტონის ნავთ-სადგური, რომელზედაც ამას წინად ერთი ალიაქოთი იყო ატეხილი გაზეთებში და იქიდამ ჩინეთამდე ტელეგრაფის მავთული გააბეს ზღვის ქვეშ. ამის შესახებ გაზეთი «რუსკია ვედომოსტი» ამბობს:

«არ ვიცით, როგორ შეჰხედავს ამ საქმეს ჩვენი მთავრობა, მაგრამ კმაყოფილი კი არ უნდა დარჩეს იგი. სხვა რა უნდა დავარქვათ, თუ არ მუქარა, ინგლისელებისაგან დაჭერას ჩვენი ქვეყნების გვერდით ორი-ათასი კვამლით დასახლებულის კუნძულისას», კორეის ახლო, რომელიც ჩვენს მეზობლადა მდებარებს და რომლის ბედსაც ჩვენ გულ-გრილად ვერ მოვეპყრობით.»

## ოსმალეთი

ჰერათიდამ სწერენ სპარსულ გაზეთს «ფარსს»: რამდენიმე დღის წინად, აქაურმა დიდებულებმა, ულემებმა და ვაჭრებმა გაუგზავნეს დეპუტაცია ჰერათის გუბერნატორს და სთხოვეს ეშუამდგომლა ემირთან, რუსების თავ-დასხმის შიშის გამო, თავისი რეზიდენცია ჰერათში გადმოეტანა და ამით ხალხი დაემშვიდებინა. გუბერნატორმა მიუგო, რომ თქვენის თხოვნის შესრულება ყოვლად შეუძლებელია, რადგან ჰერათს გარდა არიან სხვა ქალაქები: მაიმენე, სარაპული, ბალხი, რომელთაც აგრეთვე უნდა ეშინოდეთ რუსების თავ-დასხმისა და აგრე რომ იყოს, ემირს მუდამ ერთი ქალაქიდამ მეორეში გადასვლა დასჭირდებოდაო. მაინც თქვენ არაფრის შიში არ უნდა გქონდეთო, დაუმატა გუბერნატორმა, რადგან ჰერათის გასაღები—ზულფიგარი აფღანის ხელშიაო.—რას გარგებს, რომ გასაღები ჯიბეში გედოს?—უპასუხა დეპუტაციის უფროსმა. რად უნდათ ჰერათელებს ზულფიგარი, როდესაც ადვილია სხვაგნით მოუარონ მას. რუსებს ადვილად შეუძლიანთ სპარსეთის მიწაზე მოუხვიონ და უფრო ადრე მოვიდენ ჰერათში, ვიდრე ზულფიგარზე გადმოსვლით.—ჩვენ მაგაზედაც ვიფიქრეთ—უთხრა გუბერნატორმა—და ამიტომ ჩვენი გარნიზონი აქ ერთი-ორად გავაძლიერეთ. მართლაც რომ ჰერათში მუდამ მოდიან ჯარები სამხრეთიდამ და მალე მისი გარნიზონის რიცხვი 15000-მდე ავა, რომლის 3000 კაცი სდგას ჩუსანში, პატარა ქალაქში, აფღანისა და სპარსეთის საზღვარზე.

«როდესაც ეიუბ-ხანი დაატუსაღეს, ჰერათშიაც ბევრნი დაიჭირეს მისნი მომხრენი და ციხეში ჩასხეს. უკანასკნელებს ბრალდებოდათ ცნობების გაგზავნა გენერალის კომაროვისათვის. ჰერათელებს იმისი ეშინიანთ, რომ თუ რუსები ჰერათზე წამოვლენ, ყველა მომხრეები ეიუბ-ხანისა აჯანყდებიან და მტერს ქალაქის კარებს გაუღებენო.

—

ერთი ნემეცური გაზეთი სწერს, რომ ლორდი სალისბიური ცდილობს სრულის კავშირით შეეკრას ხვანთქარს. ამ კავშირის მიზეზად ასახელებენ ეგვიპტეს და სუდანში მშვიდობიანობის დამყარებას, მაგრამ ეს მხოლოდ საბაბია და აზრი სრულიად სხვა აქვს ინგლისის კაბინეთსაო.

—

ამ დღეებში ვაცნობეთ მკითხველს, თუ რა შთაბეჭდილება იქონია «Pall-Mall-gazette»-ის ცნობებმა ინგლისში გავრცელებულ გარყვნილობაზედ მისმა წერილებმა ისე მიიზიდეს მთელი საზოგადოების ყურადღება, რომ ამერიკის გაზეთებმა 100,000 სიტყვის ტელეგრამა შეუკვეთეს თავიანთ კორესპონდენტებს, ოღონდ გაზეთის წერილები დაწვრილებით გადმოგვეცითო.

ამავე საგანზედ დაინიშნა კომისია, რომელშიაც ინგლისის უმაღლესმა პირებმა მიიღეს მონაწილეობა. რედაქტორმა ხსენებული გაზეთისამ სამი საათი ილაპარაკა კომისიის წინაშე და შემდეგ სთხოვა კომისიის მწევრთ წაჰყოლოდენ და თავიანთ თვალით დარწმუნებულიყვნენ რომ მისის გაზეთის ნაამბობი სრული სიმართლეა. მას გაჰყვა მხოლოდ საიდუმლო კომისიის მწევრი. იგინი მივიდენ ორს დედა-კაცთან, რომელთაც თოთხმეტი წლის მშვენიერი ქალი უჯდათ გვერდით და ის იყო მიეყიდნათ 60 წლის ბებრისათვის. დოკუმენტები როგორც ამ ქალისა, ისე ბებრის წერილები ამ დედა-კაცებთან გადაეცა კომისიას დასამტკიცებლად.

—

საზოგადოების აზრი და სიტყვა ბეჭვდით წარმოთქმული ისე ძლიერია ინგლისში, რომ იქ გაზეთებისაგან ყურადღება-მიქცეული ბოროტ-მოქმედება არ შეიძლება დაუსჯელი, ან გაუსწორებელი დარჩეს: შარშან ამ ქვეყანაში დიდი ალიაქოთი ასტყდა მუშა-ხალხის სადგურების შესახებ, რომელთა უწმინდურება კალმით არ აღიწერება, და აი ამ აყალ-მაყალის ნაყოფი იყო, რომ პარლამენტმა ამ დღეებში მეორე კითხვით მიიღო ახალი პროექტი სწორედ ამ სადგურების შესახებ. პროექტი ნებას აძლევს მთავრობისაგან დანიშნულ პირებს ამისთანა სადგურების სინჯვისას და მოთხოვნისას, რომ იგინი ჰიგიენის წესისამებრ იყვნენ შენახულნი. ამას გარდა მთავრობა ფულით და ადგილით ხელს გაუმართავს იმ საზოგადოებათა, რომელ-

---

იყო, როგორც რიგი და კანონი მოითხოვს და საწყალს, დაზარალებულს მეპატრონეს ა. ქ—ნს ზღვევის ფულიც ერგება, რასაკვირველია. აბა, ვინ რას ემართლება. თუმცა უმსგავსი ჭორები-კი დადის, რომ ისაო, ღმერთო, ასეო, ისეო... ეჰ, ალარცკი მახსოვს კარგად—რას ლაპარაკობდენ... არ დავიჯერებ სწორედ:—ვინ სულელი ამისთანა სიცხეში კიდე იმოდენა ცეცხლს განგებ გააჩაღებდა! იმასაც კი ამბობენ, რომაო იმ საზოგადოების აგენტად, რომელშიაც ეს სახლი იყო დაზღვეული, ამ სახლის პატრონის სიძეაო... მერე? მერე რა იყო!? სირცხვილია სწორედ ჩვენთვის, რომ ამ გვარს ჭორებს ვავრცელებთ... «უველა წახდა»...

დასასრულს მოგითხრობთ ერთს... უკაცრავად მინდოდა მეთქვა სასაცილო ამბავს მოგითხრობთ-მეთქი, მაგრამ იქნება ზოგს გაცინების ნაცვლად ჰმუნვარება მოჰგვაროს ამ ამბავმა და ამიტომ ყველამ თავისებურად გაზომოს:

როგორც მოგეხსენებათ, ბატონო ჩემო, პარიჟში ამ ჟამად რამდენიმე ქართველი ახალ-გაზდა სწავლობს. ერთს ამ ახალ-გაზდათაგანს შემდეგი წერილი მოუწერია ქუთაისში ერთის სწავლა-მიღებულის ქალისათვის.

### მკირფასო დაო...!

როგორც იცი, აქ «პარიზში», ამ ქვეყნიურს ქალაქში შეგროვილი ვართ ხუთიოდე ქართველი ყმაწვილები, უმაღლესი სწავლის მისაღებად. ჩვენ განვიზრახეთ ერთი კარგი საქმე და ამ საქმის სისრულეში მოყვანა ერთის მხრით შენზედაც არის დამოკიდებული. აი, ეს საქმეც. დღეს ჩვენ ხელთაა შესანიშნავი სახელმძღვანელო წიგნები, რომელსაც საჭიროებს ჩვენი ქვეყანა. ბევრი წიგნების შეძენა კიდევ გვჭირიან. ჩვენ გვსურს ქართულად ვთარგმნოთ ეს სახელმძღვანელონი და ვაჩუქოთ ჩვენს სკოლებს. მაგრამ კარგი მასალა გვაკლია: ფული გვაკლია ჯერ იმისთვის რომ შევიძინოთ სხვა-და-სხვა ფრანგული წიგნები და შემდეგ რომ ხან-გამოშვებით ვაბეჭდვინოთ ისინი. აბა, დაგვიტრიალდი შენებურად ჩვენებურ შეძლებულ თავად-აზნაურებ შორის და შეგვიგროვე ფული. რაც უფრო ბევრი იქნება, არ გვაწყენს.

შენი მოიმედე...

კნეიჟნას სოფელში მიუვა ეს ბარათი. წაიკითხავს თუ არა, იმ წამსვე გაექანება ერთის შეძლებულის თავადისაკენ.

— ბიძია, ჩემო ბიძია, აი, რა წერილი მომივიდა ...საგან! და კნეიჟნა გადუბულბულებს ბარათს.

— ჰო, მერე რაიო!..

— ვა ბიჩა, ბიძია! რავა რაიო? ვერ გეიგონე:—დატრიალდი ჩვენებურ თავად-აზნაურებ შორის და შეგვიგროვე ფული...

— ესე იგი?..

— ესე იგი—შენ უნდა მომცე ერთი ოციოდე თუმანი!

— არა ღმერთმანი! რეიზა?

— ბიჩა ქე არ იწერება: ქართული სახელმძღვანელოები უნდა გამოვსცეთო.

— რავა გეტყვი, იცი შენ! მე, ბიძია, საბოვშო კბილი კაი ხანია მევიცვალე. შოუთვალე იმას შენ, იქ რომ წასულა, ცხრა მთას გადაღმა, ფულს გოუგზავნი, მარა მე სახელმძღვანელო, მახელმძღვანელო—ესენი არ ვიცი.—მისწერე, რომე გამომიგზავნოს კაი კაი ფრანცუცკული მწევარ-მეძებრები და ერთი ბაზიერობის წიგნი გადამითარგნოს კარგად; დამიდვას ამის ხელ-წერილი და ფულიც მიიღოს... ბეიგონე... წადი, ბიძია, და ასე მისწერე...

კნეიჟნას ისე გაუტეხა გული ამ ერთმა პასუხმა, რომ სხვას ველარცკი მიმართა და მეორე დღესვე ყოვლივე მისწერა «პარიზელს».

თაც აზრად ექმნებათ იაფის და რიგიანის სახლების აშენება მუშა-ხალხისათვის.

## სხვა და სხვა ამბავი.

ინგლისურ გაზეთებში ერთი სასაცილო ამბავია მოყვანილი: მარტის თვრამეტს, როცა რუსის ჯარმა ავღანელები დაამარცხა და იმათი ბანაკი დაიპყრო, ერთმა თექელმა კარავში მშვენიერი ლაიკის მაღალ-ყელიანი წაღები იპოვა. ეს წაღები გენერალ კომაროვს მოუტანა. იმ დროს კომაროვი რაღასაც სწერდა და ხუმრობით უთხრა მომტანს: თავი დამანებე, ეგ წაღები ლემსდენს გაუგზავნეო. თექელმა ეს სიტყვები ბძანებად მიიღო, შეჰკრიბა ორი-სამი კაცი და დიდის ამბით წაუღეს ეს წაღები შეტს, ლემსდენის ადიუტანტს, რომელმაც კუშკაზე ბრძოლის შემდეგ, ავღანელებთან ერთად მოჰკურცხლა.

ძვირად დამჯდარი ალერსი. გერცოგს მალბოროს ამას წინად მალიან მვირად დაუჯდა ერთ ქალთან ალერსი. კოჩულის ბალში მან მოგლიჯა დიდი ვარდი და თავის თანამგზავრს ქალს უთავაზა. რადგანაც ეს ვარდი იშვიათი იყო, ამისათვის მებაღემ გერცოგს 150 გირვანქა სტერლინგი გადაახდევინა. მცოდნე პირებმა სასამართლოში ეს ვარდი მართლა იშვიათ ვარდად იცნეს და როდესაც გერცოგმა ხსენებული ფასი გადაიხადა. მოსამართლეს უთხრა: „აი კარგი საშუალება, რომ ღარიბი კაცი ქალებთან ალერსს გადაეჩვიოსო“.

ბავშვების მჭამელი. სანდონაში, ტიროლის საზღვარზე, ამას წინად რამდენიმე ბავშვი დაიკარგა. ამ ბავშვებს, როგორც აღმოჩნდა, იპარავდა თურმე ერთი ტიროლელი, ჰხოცდა და სჭამდა, რადგან სხვა საჭმელი არა ჰქონდა-რა. ეს საზიზღარი და საშანელი ქმნილება ციხეში დაატუსაღეს, მაგრამ იქ ალბად ცოდვამ უწია და გაცოფიანდა, ვიდრე სამართალი თავისას იტყოდა.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ივლისის 19-ს.

ბირჟა

სტამბოლი. პორტა შეეკრა კრუპს პირობით, რომლის ძალითაც კრუპმა მრავალი იარაღი უნდა მოუმზადოს სრუტეების დასაცველად გამართულ სიმაგრეთათვის.

ლონდონი. ლორდმა ჩერჩილმა აცნობა საზოგადოებათა პალატას, რომ ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილია რკინის-გზის გაყვანა მარტო კვეტიდამ შიბომდე მაგრამ თუ ვაჭრულმა ანუ პოლიტიკურმა სარგებლობამ მოითხოვა, მაშინ გზა დაუყოვნებლივ ყანდაჰარამდე მივა. ამ ჟამად კვეტაში მრავალი მასალა მაქვთ რკინის-გზის გასაყვანად.

სიმლა. ინდოეთის მთავრობამ გადაწყვიტა პეშინის ხეობაში გამართოს გამაგრებული ბანაკი. ადგილის ასარჩევად იგზავნება კვეტაში გენერალი მაკ-გრეგორი.

პეტერბურგი ივლისის 16.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— —$23^{25}/_{32}$ $23^{15}/_{16}$ $23^{13}/_{16}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— — $202^{3}/_{4}$ $203^{1}/_{2}$ 202
100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — $250^{3}/_{4}$ 2501
პოლუიმპერიალები — 8 მ. 29 კ. გაყ.
ტამოჟნის კუპონები — 8 მ. 30 კ. გაყ.
ვეცხლის მანათი — 1 მ. 29 კ. გაყ.
ბირჟის დისკონტი— — $5^{3}/_{4}$ და $6^{3}/_{4}$%
5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — 99 მ. 12 კ. გაყ.
მეორე გამოცემისა — $97^{3}/_{4}$ მ. გაყ.
მესამე გამოცემისა — 97 მ. 62 კ. მყ.
მეოთხე გამოც. — — 97 მ. 12 კ. მყ.
მეხუთე გამოც. — — $97^{1}/_{2}$ მ. მყ.
5% ალმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. — 95 მ. 87 კ. გაყ.
მეორე გამოც — — $95^{1}/_{2}$ მ. მყ.
მესამე გამოც. — — $95^{1}/_{2}$ მ. მყ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — $217^{3}/_{4}$ მ. გაყ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— 213 მ. გაყ.
ოქროს რენტა — — 172 მ. 37 კ. გაყ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — 43 წ. $88^{3}/_{4}$ მ. გამყ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. 18 წ. 91 მ. გამყ.

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დააარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ ხაბებით, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი—10—11 საათამდე —საქირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელიც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

### რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

თბილისიდამ ბათუმისაკენ
8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდამ თბილისში შემოდის
10 საათ. 25 წამ. ღამით

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდამ თბილისში შემოდის
8 საათ. დილით.

თბილისიდამ სურამისაკენ
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდამ თბილისში შემოდის
8 საათზედ 24 წამ. დილით.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 კათათვიდამ 1 მარიამობისთვემდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.
ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. $2^{1}/_{2}$
მეორისა — — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის —1 გ. $4^{1}/_{2}$
მეორისა — — —1 გ. 3 კ.
მესამისა — — —1 გ. $2^{1}/_{2}$

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის ლავაში 1 გ. $4^{1}/_{2}$
მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3^{1}/_{2}$
მესამისა — — —1 გ. 3 კ

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა—1 გ. 7 კ
მეორისა — — —1 გ. 6 კ.
ხბოსი— — — —1 გ. 14 კ
ცხვრის ხორცი— —1 გ. 8 კ

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა 1 გ.
მეორისა — —1 — გ.

# განცხადებანი


ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 6 მანათიდგან. და ორის საწოლი 10 მანათიდგან; მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანათამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: [illegible] მეტალის ნივთები, ჩაიდნები, [illegible] საშაქრე, კოვზები, შეფილდის დანები ჩანგლებიო, სამართებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფრის კი, საწყაო, რიუმკები, საქაშური, თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარნიცის სადგამები, პრობკის ამოსაღები, პრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრასტები, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, სათვალები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ქაღალდის შურშელი, მურაბები, კამფეტები, კიპულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმაკიტონები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 9, 3, 91 და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—26)




Съ разрѣш. Медицинск. Департамента Министерства Внутреннихъ дѣлъ.

ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ ВЪ АПТЕК. МАГАЗ. ШТОКМАНЪ и ЛЕМАНЪ. МОСКВА, ИЛЬИНКА.

Пріятнаго вкуса, полезенъ дѣтямъ и взрослымъ, ОСОБЕННО МАЛОКРОВНЫМЪ, какъ увеличивающій питаніе.

Продается во всѣхъ кондитерскихъ, гастрономическихъ, аптекарскихъ магаз. и аптекахъ.

Цѣна кор. въ 20 плит. 1 р. 20 к. ½ кор. 70 к. Перес. кор. 40 к., 2 кор. 60 к. и т. д.

(Ц. 15375.). (50—10)

ქავა მოკკო

ს. სიუ და კო.

(Ц. 2592). (46—23)

პირველის სექტემბრიდგან ქირავდება ახალი სახლები

რვა ოთახი ზემო ეტაჟში

სარდაფით, წყლითა და თავის მოწყობილებით. საპერნის ქუჩაზედ № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. მსურველთ პირობის შეტყობა შეუძლიანთ, ექვთიმე ხელიძის სტამბაში, ბაღთან. (3—2)

ი. ა. ფორაქოვის და დ. ზ. სარაჯოვის

სპირტისა და არყის დეპოში (თბილისში დ. სარაჯოვის სახლებში სასახლის ქუჩაზედ).

ისყიდება

დაწმენდილი პურის არაყი სხვა და-სხვა სორტისა და აგრეთვე სხვა-და სხვა გვარი დაწმენდილი სპირტი.

ვისაც ქალაქს გარედამ დაბარება უნდა, შემდეგის ადრესით უნდა დაიბაროს: Въ Тифлисъ. Въ оптовый складъ вина и спирта И. Поракова и Д. Сараджева. (20—1)


Доз. ценз. Тифлисъ, 19 Іюля 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.